

ძალადობრივ დანაშაულთა საქმეებზე არასრულწლოვანი  
დაზარალებულისა და მოწმის გამოკითხვის თავისებურებები

მარიამი ქარქუსაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის  
სკოლაში სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების  
მოთხოვნების შესაბამისად

სამართლის სკოლა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანტონ ქელბაქიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022 წელი

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამი ქარქუსაშვილი

2022 წელი

## აბსტრაქტი

ნაშრომის ძირითადი მიზანია, სხვადასხვა კვლევის მეთოდების გამოყენებით ხაზი გაუსვას მოწმე და დაზარალებული არასრულწლოვნის გამოკითხვის თავისებურებებს, ქვეყნის მასშტაბით არსებულ საკანონმდებლო ხარვეზებსა და პრაქტიკულ პრობლემებს. ასევე, მნიშვნელოვანია საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით ალტერნატიული მიდგომების განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა.

აღნიშნულ თემაზე ჩატარებული სხვა კვლევების, ნაშრომების, სხვა ქვეყნის პრაქტიკის გათვალისწინებით შესაძლებელია მსჯელობა, თუ როგორ შეიძლება ქართული კანონმდებლობა შესაბამისობაში მოვიდეს საერთაშორისო სტანდარტებთან. დღეისთვის რა პრაქტიკული პრობლემები გვხვდება არასრულწლოვნის გამოკითხვის პროცესში სპეციალიზაციის, ინფრასტრუქტურის მხრივ და როგორ შეიძლება ამის გამოსწორება. ნაშრომში განხილულია პრობლემის აქტუალურობა, თუ რა ზიანი შეიძლება მიადგეს არასრულწლოვანს არასწორად ჩატარებული გამოკითხვის პროცესის დროს, რა ქმედითი ნაბიჯების გადადგმა არის აუცილებელი, რომ დაცული იყოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი.

საქართველოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება დროთა განმავლობაში ვითარდება, მაგრამ არის საიკითხები, რომელიც დღემდე არ შეესაბამება საერთაშორისო მასშტაბით დამკვიდრებულ სტანდარტებს. უპირველესი არის არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის დაცვა. იმ მომენტიდან, როცა არასრულწლოვანს პირველი შეხება აქვს სამართალდამცავ ორგანოებთან, ეს შეიძლება იყოს გამოკითხვის პროცესი, აუცილებელია მისთვის შესაბამისი გარემოს შექმნა. სწორედ ამიტომ, კიდევ ერთხელ აუცილებელია ხაზი გაესვას, რომ ქვეყანაში ამ მხრივ ჯერ კიდევ დარჩა საკითხები, რაც მოსაგვარებელია, როგორც პრაქტიკული კუთხით, ისე კანონმდებლობის თვალსაზრისით.

**საკვანძო სიტყვები:** მოწმე და დაზარალებული არასრულწლოვანი, გამოკითხვა, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი.

## Abstract

The main aim of the paper is to highlight the peculiarities of interviewing witness and victim juveniles, legislative gaps and practical problems across the country using various research methods. It is also important to consider alternative approaches in line with international practice and to make relevant recommendations.

Taking into account other studies, papers, and practices of other countries on this topic, it is possible to discuss how Georgian legislation can be brought in line with international standards. What practical problems are encountered today in the juvenile survey process in terms of specialization, infrastructure and how can this be remedied? The paper discusses the urgency of the problem, what harm can be done to a juvenile during an improperly conducted interview process, and what effective steps are necessary to protect the best interests of the juvenile.

Juvenile justice in Georgia is evolving over time, but there are questions that do not yet meet internationally established standards. The first is to protect the best interests of the minor. From the moment a juvenile first comes into contact with law enforcement, this can be a questioning process, it is essential to create an appropriate environment for him or her. That is why it is necessary to emphasize once again that there are still issues in the country in this regard, which need to be resolved, both in practical terms and in terms of legislation.

**Keywords:** Witness and victim juvenile, Survey, Juvenile best interest.